ოქმი N9

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა

კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2019 წლის 27 დეკემბერი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. დავით ბერაია
2. მერაბ ფილიპია
3. დიტო ხასია
4. კობა გოქაძე
5. აკაკი ხურცილავა
6. გია წულაია
7. გოჩა ჯობავა
8. ლაშა ცატავა
9. თემურ გულუა

სხდომას თავმჯდომარეობდა დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2019 წლის 18 დეკემბრის №03/4540 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ.
- „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2019 წლის 18 დეკემბრის №03/4540 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა

თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ.

- „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოშობილია ვაკანსია 1 თანამდებობაზე და ასევე არსებობს დადასტურებული საფუძველი, რომ 2 თანამდებობა უახლოეს პერიოდში გახდება ვაკანტური.

მერიაში არსებული და მოსალოდნელი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსების ორგანიზებამდე, მერიის შესაბამისი სამსახურების ეფექტური საქმიანობის მიზნით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული გარკვეული სახის ცვლილებების განხორციელება როგორც თანამდებობათა იერარქიული რანგის ფარგლებში, ასევე თანამდებობათა იერარქიებს შორის (მათ შორის, თანამდებობრივი სარგოების ცვლილებით).

ზემოთ აღნიშნული ცვლილებების განსახორციელებლად, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

წარმოდგენილი დადგენილებების პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი სახის ცვლილებები:

1. მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურში:

ა) ურბანული განვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილებაში მცირდება მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა (თანამდებობრივი სარგო - 850 ლარი);

ბ) ურბანული განვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილებაში, მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობრივი სარგო იზრდება 50 ლარით (თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება 700 ლარით);

გ) ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის განყოფილებას ემატება 1 საშტატო ერთეული, მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის სახით (თანამდებობრივი სარგო - 700 ლარი);

დ) ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის განყოფილებაში, მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეულზე თანამდებობრივი სარგო იზრდება 50 ლარით (თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება 700 ლარით);

ე) ზედამხედველობის განყოფილებაში, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა (თანამდებობრივი სარგო - 850 ლარი) გარდაიქმნება მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობად (თანამდებობრივი სარგო - 700 ლარი).

2. კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილებაში, მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა (თანამდებობრივი სარგო - 650 ლარი) გარდაიქმნება მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობად (თანამდებობრივი სარგო - 800 ლარი).

დაგეგმილი ცვლილებებით არ იზრდება მერიის ამჟამად მოქმედი საშტატო ნუსხით განსაზღვრულ თანამდებობათა რიცხოვნობა და სახელფასო ფონდი.

მერია ასევე განმარტავს, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომართვის საფუძველზე, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში განთავსებული უძრავი

ქონება მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციული შენობა - ჭალადიდის საზოგადოებრივი ცენტრი) გადაეცემა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, სსიპ - იუსტიციის სახლისთვის გადასაცემად.

ქონების გასხვისების შემდგომ მუნიციპალიტეტი ვეღარ უზრუნველყოფს ამ ქონების მოვლა-პატრონობისთვის აუცილებელ ხარჯებს, რომლის ფარგლებშიც, ჭალადიდის საზოგადოებრივი ცენტრის უწყვეტი ელექტროენერგიით უზრუნველყოფის მიზნით მოქმედი დიზელის გენერატორისთვის გათვალისწინებული დიზელის საწვავის ლიმიტი (45 ლიტრი) უნდა გაუქმდეს 2020 წლისთვის.

ხობის მუნიციპალიტეტის მერიისთვის განსაზღვრული დიზელის საწვავის ლიმიტის ზემოთ აღწერილი შემცირების პარალელურად, სამსახურებრივი აუცილებლობის გათვალისწინებით 50 ლიტრით იზრდება ბენზინის საწვავის ლიმიტი და განკარგულებით განსაზღვრულ ნუსხას ემატება საწვავის ლიმიტი ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერზე პასუხისმგებელი პირისთვის.

გარდა ხობის მუნიციპალიტეტის მერიისთვის განსაზღვრულ საწვავის ლიმიტებში ცვლილებებისა, განკარგულებით ასევე გათვალისწინებულ იქნა ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილების და საზოგადოებასთან ურთიერთობის, ადმინისტრაციულ ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების საჭიროება ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ლიმიტის გაზრდის კუთხით, რომლის ფარგლებშიც ცვლილება ხორციელდება განკარგულებით უკვე განსაზღვრული ხარჯების ფარგლებში, კერძოდ: 20 ლარით მცირდება ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის განსაზღვრული ლიმიტი, ხოლო 15-15 ლარით - ხობის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილისა და მერის მოადგილისთვის განსაზღვრული ლიმიტები და მიღებული 50 ლარის ხარჯი ემატება ზემოთ მითითებულ 2 განყოფილებას (25-25 ლარის გადანაწილებით, საბოლოო ჯამში 40-40 ლარის ოდენობით).

განკარგულების ამოქმედება გათვალისწინებულია 2020 წლის 1 იანვრიდან.

მომხსენებელმა მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი საკითხის გატანა საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად კომისიის დასკვნასთან ერთად.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განხილულ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე კომისიის დასკვნასთან ერთად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე დავით ბერაია